



ჩვენგური საქართველოთა, სიმეში ჩვენ ვართ ყველათ!

ყოცხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თაშისუხალი პარტი

2018 წელი №11 (9434) 1-15 ივნისი უსი 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიასი

დამოუკიდებლობის აღგენის 100 წლისთავი სენაკში



ქალაქ სენაკში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები ცენტრალურ მოედანზე სამხედრო ტექნიკის გამოფენით დაიწყო. აქვე მოეწყო ფოტოგამოფენა „დამოუკიდებლობის ქრონიკები 1918-1921“ და სენაკელი ფოტოხელოვანის გიორგი ნიკოლაძის ნამუშევრების გამოფენა „საქართველო არის ესე“. სპეციალურად მომზადებულ ბანერზე - „ჩემს სამშობლოს ვუსურვებ“ - მოქალაქეები აფიქსირებდნენ თავიანთ ხედვას ქვეყნის მომავლის შესახებ. დღესასწაულის მონაწილეებს ასევე პირობით საშუალება იწოდებოდა ფოტოკამერის - მემოგრამის საშუალებით გადაეღოთ სამახსოვრო ფოტოები. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნას და გვირგვინით შეამკეს გმირის ბიუსტი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მოეწყო ქორეოგრაფიული ანსამბლების, ადგილობრივი ახალგაზრდა სპორტსმენების, მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის, სასწავლო დაწესებულებებისა და საზოგადოების წარმომადგენლების სახეიმი ალუმი, რომელსაც ბოლოს სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების აღსაზრდელები შეუერთდნენ. ჟიული შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში გამართულ ყვავილების დღესასწაულზე, დამოუკიდებულებს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაწილეობით მოეწოდა ყვავილების უღამაზესი საშუალება. აქვე მიმდინარეობდა აქტივობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, კულნარიული გამოფენა და ასფალტზე ხატვა. პარალელურად, ამფითეატრის სცენაზე, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების აღსაზრდელებმა წარმოადგინეს ფლეშ-მოში და პერფორმანსი „საქართველოს კუთხეები“. ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა 26 მაისის დაბადებული დიდი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის მერაბ კოსტავას 79-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი, მერის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ფილმი „ეკეთიმე ღვთისკაცის“ ჩვენება



დამოუკიდებლობის აღგენის 100 წლის იუბილეს მიძღვნილი კინოთეატრ „რუსთაველაში“ ფილმი „ეკეთიმე ღვთისკაცის“ საპრემიერო ჩვენება, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გონა ბაღათურია, მერიის, საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. მხატვრული ფილმი 1921-1945 წლებში, საქართველოს ეროვნული საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიკოსის, არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მამულიშვილის ეკეთიმე თაყაიშვილის საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს ასახავს. ფილმში მთავარ როლს გერმანიაში მოღვაწე ქართველი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს. ფილმის დასრულების შემდეგ, კინორეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ და სენაკის საზოგადოების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ამ უნიკალური ფილმის ირგვლივ. ფილმის პრემიერა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში 20 იანვარს გაიმართა. „ეკეთიმე ღვთისკაცი“ ქართული საზოგადოების შემოწირულობებით გადაიდევს. გადაღებები მიმდინარეობდა საქართველოში და საფრანგეთში - პარიზსა და ლევილის მამულში.

მრავალფეროვანი ღონისძიებები და დღესასწაულის საზვიამო დახურვა



ჟიული შარტავას ბიუსტის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სახეიმი კონცერტი მრავალფეროვანი რეპერტუარით, მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით. ცენტრალურ პარკში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩატარდა კლასიკური მუსიკის გალა-კონცერტი ინდივიდუალური შემსრულებლების, სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლასთან არსებული გაერთიანებული გუნდის მონაწილეობით. სამხატვრო გალერეაში - პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნორჩი მხატვრების ნამუშევრების გამოფენის შემდეგ, მრავალფეროვანი ღონისძიებებით გამორჩეული ჩვენი ქვეყნის უპირველესი დღესასწაული სენაკში, უღამაზესი ფოთიერეკების ფონზე, სახეიმი განწყობილებით დასრულდა. ფინალურ ფორსიანობებს მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



გაცოცხლებული წარსული

„აღდგენა ისტორიისა ერის გაცოცხლებაა, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამოკვლევაა სიბნელისაგან“ ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი პატარა საქართველო მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგრებით, რელიკვიებით, ყველა ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე ნაირფერად მოაღწია ძეგრფას მასალებს შეიცავს წარსულს შესაცნობ-შესასწავლად. ჩვენი ვალია მოვიძიოთ და მომავალ თაობას გადავცნოთ ისტორია, ლეგენდები, ტოპონიმები, თუ ფოლკლორი, ამ მიზანს ემსახურება პროექტი „ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“.

მოწვეო ზემო ჭალადიდის თემის ისტორიის შესწავლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ – მუშაკი ლალი გულუა, ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფდა ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელი თეიმურაზ რეკვაია. ამ საქმის ორგანიზატორია თემის დეპუტატი ელისო ცაგური. აქტიურად იყვნენ ჩართულები სკოლის პედაგოგები, ბიბლიოთეკარი რუსუდან აბრამია, სკოლის დირექტორი თინათინ ჯალაღონია, პედაგოგი თეა თოლორდვა.

14 მაისს მუზეუმში მოწვეო ზემო ჭალადიდის თემის ისტორიის პრეზენტაცია. მნიშვნელოვანი ისტორიებით, მოგონებებით წარსულს სკოლის მოსწავლეები: ჯენი თოდუა, სესილი ვალიავა, გიორგი ხურცია, გურამ შეროხია და საბავშვო ბაღის აღსაზრდელი დათო აბრამია. მუზეუმში მოწვეო მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა.

მოწვეულ იქნა თემის ისტორიის ცოცხალი მემკვიდრე ბიძინა ინჯიბაშვილი, რომლისაგანაც ჩაიწერა ინტერვიუ. მეტად საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ბუთხუზი ყურუას მიერ სკიპტოგრამის/დამდის/ნიმუშები, რომლითაც ჭალადიდში ყურუების საქონელს ცნობდნენ. აღნიშნული ყურუების სამასხოვროდ ქონაქიძეებმა გადასცეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ თვითმმართველობის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მუშაკები, რაიონის ინტელიგენცია, თეკლათის თემის წარმომადგენლები.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: ლევან უჩაჩიშვილმა, დარეჯან ზარანდიამ, გივი მისაბიშვილმა, მარინე აბრამიამ, ბედის დავითიამ, დამირ კუჭავამ.

ინგა თოლორია,
ზემო ჭალადიდის სკოლის პედაგოგი



სპორტი

სპორტული ცხენების ამსახველი ფოტოგამოფენა



ა(ა)პ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში, სენაკის სპორტული ცხენების ამსახველი ფოტოგამოფენა გაიხსნა. 1890 წლიდან დღემდე მოპოვებული ისტორიული სენაკის მრავალფეროვანი სპორტული ისტორიის აცოცხლებს. სტენდის ავტორი და შემდგენელი არის ანზორ ცაგურია, სენაკის სასპორტო გაერთიანების მთავარი სპეციალისტი სპორტისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში. ფოტოგამოფენის გახსნას

მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბალათურია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სასპორტო გაერთიანების დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა, მოადგილე ნუგზარ ძაბაძია, სასპორტო გაერთიანების თანამშრომლები და სპორტსმენები ესწრებოდნენ.

ფოტოგამოფენის გახსნას მუნიციპალიტეტის მერმა ფულადი თანხით დააჯილდოვა მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართლოს ონიკავა და ევროპის ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გიორგი ჩხიკვაძე. წარმატებები უსურვა სპორტულ ასპარეზზე. სასპორტო გაერთიანების ფუტხალის გუნდის „ქუჯის“ წევრებს მერმა ლევან კუპრიშვილმა საჩუქრად სპორტული ეკიპირება გადასცა

ჭადრაკი

2018 წლის 21-31 მაისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში 8 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ტურნირში 46 ნორჩი მოჭადრაკე დასწრედა მონაწილეობას. საქადრაკო კომპოზიციების ამოსხნაში 12 წლამდე ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა ალექსანდრე გოგია. ასევე 7-დან 6,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა მესამე თანრიგის მოსაპოვებელ საკვალიფიკაციო ტურნირზე (მწვერთნელი ზურაბ ლიფონავა).



გულოცავთ ალექსანდრეს წინსვლას და ვუსურვებთ წარმატებებს.



2018 წლის 19-20 მაისს ქ. თბილისში ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საკვალიფიკაციო ტურნირი მეხუთე თანრიგის მოსაპოვებლად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლემ მათე ლომიამ. მათე 6 წლისაა და 8-9-10 წლის მოსწავლეებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოიპოვა. მან 7 შესაძლებლობიდან 6 ქულით შეასრულა მე-5 თანრიგის ნორმატივი (მწვერთნელი ზურაბ ლიფონავა).

ძიუდო

2018 წლის 27 მაისს ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა ძიუდოსტებმა გაგვახარეს. პირველი ადგილები დაიკავეს: 32 კგ. - წონით კატეგორიაში ცოტნე ჩიქობავამ, 23 კგ. - წონით კატეგორიაში ალექსი გულუამ (მწვერთნელები გელა ხარბედია, უჩა ჯღაკავა). გულოცავთ ახალგაზრდა სპორტსმენებსა და მათ მწვერთნელებს წარმატებას და გამარჯვებას ვუსურვებთ მომდევნო შეჯიბრებებში.



ვეტერანთა ტურნირი ნარდში



საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღსანიშნავად, აიპ სენაკის ვეტერანთა კავშირმა (თავმჯდომარე ბორის დავითია) 24 მაისს ჩატარა საკვალიფიკაციო და საინტერესო შეჯიბრება მოკლე ნარდში.

ღონისძიების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებამ (ჯ. ლაშქარავა) და კულტურის ცენტრმა (ლ. უჩაჩიშვილი)

შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა და პირველი ადგილი მოიპოვა, ვიტალი შამათავამ. მეორე- არმან თოდუამ . მესამე- მურთაზ გვარამიამ.

გამარჯვებულებს გადაეცათ მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაწესებული შესაბამისი ხარისხის მედლები და სიგელები.

ნ. ძაბაძია
მედიარა
კავშირის სახელმძღვანელო

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო სარტანიანი
რედაქტორი: მამია ბაღატიანი
კორექსორები: მანია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შუღლიტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაბეჭდა ქვითში შპს „ორიდა“-ს სტამბაში
ქვითი წმინდის №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

„სენაკი არტ-ფესტივალი 2018-ის“ საზვიამოდ დახურვა



25 მაისს სენაკის ცენტრალურ პარკში, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, „სენაკი არტ-ფესტივალი 2018“ გალა-კონცერტით საზეიმოდ დაიხურა. ფესტივალი, რომლის დამაარსებელია მსოფლიოში ცნობილი პიანისტი, პიანისტა საერთაშორისო კონკურსების მრავალჯერ ლაურეატი, ხელოვნების აკადემიის რექტორი, სენაკის საპატიო მოქალაქე ვალერიან შიუკაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის პატრონაჟით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით უკვე მე-9 წელია მიმდინარეობს და უნიჭიერესი ნორჩი მუსიკოსების გამოვლენას და მათ პროფესიონალურად ჩამოყალიბებას ემსახურება. 10 დღის მანძილზე, კომპეტენტურმა ჟიურმა, თავმჯდომარის - ვალერიან შიუკაშვილის, საპატიო წევრის - საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ხელმძღვანელის შიო აბრახამიას, მუდმივი წევრის - სენაკის ხელოვნების ცენტრის კოორდინატორის რუსუდან მილიუტინის შემადგენლობით, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით 2800 მოსწავლეს მოუხმინა. საკუთარი მონაცემები წარმოაჩინეს ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ხარაგაულის, თერჯოლის, ვანის, წყალტუბოს, სამტრედიის, სენაკის, ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, ხობის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, სუფსის, ხელვაჩაურის სახელოვნებო სასწავლებლების შემოქმედებითმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. მოსმენა ჩატარდა შემდეგ ნომინაციებში: საკრავები - ფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, ფლეიტა, ბლოკფლეიტა, კლარნეტი, საქსაფონი, გიტარა; ხალხური საკრავები - ფანდური, ჩონგური, სალამური; კლასიკური საკრავების კამერული ორკესტრი; კლასიკური ვოკალი, გუნდი, ფოლკლორული და საესტრადო სიმღერა. ღია ცის ქვეშ, ორიგინალური დიზაინით მორთული პარკის ტერიტორიაზე გამართულ გალა-კონცერტში, მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების აკადემიის დასავლეთ საქართველოს VI რეგიონალური მუსიკალური ფესტივალის წარმატებულმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა. კონკურსში ლაურეატის წოდება მოიპოვა კონკურსის 15-მა მონაწილემ. 150 მონაწილეს მერს დაჯილდოვდა ხელოვნების აკადემიის საპატიო დიპლომებითა და სიგელებით. დახურვის ცერემონიაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა, სიტყვით გამოსვლისას, ხაზი გაუსვა ფესტივალის უდიდეს მნიშვნელობას ახალგაზრდობის მაღალ ხელოვნებასთან ზიარების საქმეში და სამომავლოდ მისი გრანდიოზული მასშტაბებით ჩატარებისთვის მზაობა გამოთქვა. ვალერიან შიუკაშვილმა ხელოვნების აკადემიის მადლობის სიგელები გადასცა მერს ლევან კუპრეიშვილს, პირველ მოადგილეს გრიგოლ ბაღათურიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ფესტივალის ორგანიზებაში. „სენაკის არტ ფესტივალი 2018“ ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლასთან არსებული გაერთიანებული გუნდის მიერ შესრულებულმა ფესტივალის ერთგვარ პიმნად ქცეულმა ვაჟა ახარაშვილის სიმღერამ - „მუსიკა“ დაასრულა.



მავშეთა დაცვის საერთაშორისო დღე სენაკში



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მეგრულ ოდაში, სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების აღსაზრდელების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. გამოფენის შემდეგ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საზეიმო კონცერტი მუნიციპალიტეტის საბავშვო და ბავაბალების პატარების მონაწილეობით მათ პედაგოგებთან ერთად. საზეიმო ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ერთმანეთს უღამა ხესად დადგმული ცეკვები და სიმღერები ენაცვლებოდა. კონცერტი მუნიციპალიტეტის მერიის და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.

მშენიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

თავისუფლება — სიმბოლო საქართველოსი




ჩვენს ქალაქში ნამდვილი სახალხო ზეიმით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი, მოედანზე განლაგებული სამხედრო ტექნიკა, ღამაზად მოწყობილი კუთხეები, შეჯიბრებები, კონცერტები, სიხარულის სხივი და იმედი ჩანდა ყველგან, გაბრწყინებული თვალებით ათვალიერებდნენ გარე სამყაროს პატარები და დიდი სურვილი ქონდათ მათაც მიეღოთ მონაწილეობა. ამ დიდ დღესასწაულს მომზადებული შეხვდნენ სპს საერო კერძო სკოლა „მაიას“ მორეკლამელები (დამრიგებელი დალი გოგიანიშვილი) რომლებმაც გადაწყვიტეს საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარებინათ ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „სანუკვარი საქართველო“ საღამო საინტერესოდ წარიმართა, პატარები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსებით სიმღერებით, ჩანახატებით, ყველას უნდოდა თავი გამოეჩინა, გამოჩნდა ლიდერებიც, მაგრამ ამ დღეს ყველა საუკეთესო იყო. აღნიშნვის დღისთვის ის ფაქტი, რომ ბავშვები საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველები არიან და პედაგოგის დახმარებით გამომჩნდნენ მთავარი არის — პატრონიტეხში, საქართველოს სიყვარული. მადლობა მათ ასეთი აქტიურობისათვის, საჯარო ბიბლიოთეკამ სიგელებით დააჯილდოვა: დიმიტრი ბუგუნოვი, დავით გუგენავა, ლუკა გერენავა, თამთა გოგია, გიორგი ვაშაქიძე, ნიკო კანკია, საბა კაკაბაძე, გივი კერაია, მარი სახოკია, ავთო სანიკიძე, ნიკუშა ქობალია, ვიკა ხორავა, შადვა ხუნწარია, ანჟელა ჯგუჯელავა, საღამო მხატვრული კითხვით გააღამაზა I საჯარო სკოლის რუსული სექტორის II კლასელმა სოფია სულემიანოვამ, ლენა სეფისკვერამე-მაზრაშვილმა კი თავისი სიმღერით აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება.

უმრავლეს საქართველოს ასეთი აღსაზრდელები და უფალს ვთხოვ ერთიან საქართველოში მათ ცხოვრებას — ამინ!

ლუიზა კემულარია

ლანდა მასხელიას მეშვიდე წიგნი „სულთქმა“



გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრის, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, სამეგრელო-ზემო სვანეთის დამოუკიდებელი გაზეთის „თავისუფლების მრწამსით“ რედაქტორ-გამომცემლის ლანდა მასხელიას მეშვიდე წიგნი-პოეზიის კრებული „სულთქმა“.

კრებულში შესულია ბოლო წლების ლექსები. ლექსების მთავარი თემა გახლავთ ქვეყნისა და მშობლიური კუთხის სიყვარული, რითმებში იკვეთება ახლობელი ადამიანების მონატრება, ფიქრები ყოფის საზრისზე, ნოსტალგია განვლილ წლებზე...



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტიკაში პირველ, მაგრამ გაბედულ ნაბიჯებს დგამს ლანდას ვაჟი, სამოდელი სააგენტო „გოლდენ ბრენდისა“ და „ბოდიარტ ჯორჯიას“ დამფუძნებელი გიორგი მასხელია. გამოვიდა ჟურნალის „ჯიემ სთარის“ პირველი ნომერი, რომლის მთავარი რედაქტორია გიორგი მასხელია, რედაქციის თანამშრომელად ლანდა მასხელია, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში არიან ბაღათურ არაბული, გიორგი ბუნტური, ზურა ყიფშიძე, ნაზი აღასანია, რეზო ჭეიშვილი, იონან ქართველი. ჟურნალი ფერადი ბეჭდვითაა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული. მასში შეხვდებით ხელოვნების დარგისა და შოუ ბიზნესის ცნობილ სახეებს.

23 ივნისს, 17 საათზე სენაკის სამხატვრო გალერეაში გაიმართება ლანდა მასხელიას ახალი წიგნის პრეზენტაცია. დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები, პოეზიის მოყვარულები გაეცნობიან პოეტის შემოქმედებას, გაეცნობიან ლანდა მასხელიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ფოტომატეანებს.

ლანდა თიბათეშვია დაბადებული. ვულოცავთ მას დაბადების დღეს და წიგნის და ჟურნალის გამოცემას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას საყვარელ შვილთან ერთად, ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ნაყოფიერ ლიტერატურულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას.

ბაზაიო „კოლხეთის“ რედაქცია

ერის კულტურული ტრადიციის საგანმანათლებლო-მეცნიერული



ერის დიდებას, მის ისტორიას განვითარების უძველესი დროიდან დღემდე თვალსაჩინოდ წარმოადგენს ერის კულტურული რელიქვიათა საგანმანათლებლო-მეცნიერული ცენტრი.

1977 წლიდან მსოფლიოში ყოველწლიურად 18 მაისს აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო დღე. პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ხალხმრევლობა იყო კოული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, სადაც თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებლობით ემსახურება დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით უნახავს მომავალ თაობებს მუზეუმებში დაცულ საგანმანათლებლო მემკვიდრეობის დაცვას და რეაბილიტაციას.

მუზეუმში თავი მოიყარეს მუნიციპალიტეტის

სახოგადოებრიობისა და კულტურის სფეროს მუშაკებმა, წმინდა ალექსი შუშინას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა. მუზეუმის ფოიეში გაიმართა ფოტოგამოფენის „მუზეუმი და მოდერნი“ პრეზენტაცია. შეკრებილთა სიტყვით მიმართა ჟიული შარტავას მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ნანა ფირცხალავამ.

პროექტის „მსოფლიო მუზეუმები“-ს იდეა გაჩნდა 2016 წელს. მაშინ, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოფენილ იქნა მსოფლიოში ცნობილი 20 მუზეუმის ფოტო, მათ შორის: პრადოს, ერმიტაჟის, ლუვრის, ვერსალის, ბრიტანეთის და ა. შ. მუზეუმების ფოტოები. გამოფენამ მხსველთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, რამაც პროექტის გაგრძელებას დაულო საფუძველი. ახალი გამოფენისთვის შერჩეულ იქნა 15 იმ მუზეუმთა ფოტო, რომლებიც არამხოლოდ თანამედროვე ხელოვნების კოლექციებით გამოირჩევიან, არამედ მოდერნისტული არქიტექტურითაც. ასეთებია: ჟორჟ პომპიდუს ცენტრი პარიზში, სალვადორ დალის თეატრ-მუზეუმი ფიგარესში, ოსკარ ნიმიენის მუზეუმი ბრაზილიაში, „კვადრანის პავილიონი“ ა.შ.შ.-ში და ა.შ. ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი მუზეუმების შესახებ ვრცელად ისაუბრა ნანა ფირცხალავამ.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მათთვის ჩვეუ-

ლი ყურადღებით გამოჩვენებულმა: საკრებულოს წევრმა - ბესიკ ნარმანიამ, სამხატვრო სკოლის დირექტორის მოადგილემ - კოვალე ხუნწარიამ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ლალი გულუამ. დამსწრეთა დიდი ყურადღება მიიპყრო რაიონის მეციდრის, პროფესიით არქიტექტორის, მხატვრისა და დიზაინერის ზაზა ჯანჯღავას გამოსვლამ.

მარინე აბრამიამ თავის გამოსვლაში მიმოიხილა მუზეუმის წარსული, დიდი სიბოროტი მოიგონა ყველა ის პიროვნება, რომლებიც რაიონის სამუზეუმო ცხოვრებას ქმნიდნენ. მუზეუმში დასაქმებულთა კი უსურვა დიდხანს შემართებით სვლა პროფესიულ გზაზე. მუზეუმების საერთაშორისო დღე მხოლოდ მუზეუმის თანამშრომელთა დღე არ გახლავთ, არამედ ის მრავალრიცხოვან გულშემბატოვართა დღეც არის. ამის საფუძველს კი მაძლევს დღევანდელი ხალხმრავალი შეკრება. მან მადლობა გადაუხადა ნანა ფირცხალავას ღამაში ჩანაფიქრისათვის, შეკრებილთათვის ფოტოგამოფენის საინტერესოდ წარმოდგენისათვის, თქმურაზ რეკავას კი - ტექნიკური დახმარებისათვის.



მუზეუმში ჩატარებული ღონისძიების შინაარსობრივად დატვირთვას გარემომ დამსწრე საზოგადოებამდე წარმატებულად მიადგინა და ღამაზე ფურცლად ჩაიწერა შეკრების მონაწილეთა მესხიერებაში.

ჩატარებულ ღონისძიებას სტუმრობდნენ ლევან უჩანეიშვილი და ვეფხვი ვეფხვაძე. მუზეუმების საერთაშორისო დღის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს კოორდინაციით, ქვეყნის მასშტაბით 2016 წლიდან ტარდება ვეროპის საბჭოს მიერ ინიცირებული ყოველწლიური აქცია „ღამე მუზეუმში“. მიმდინარე წელს მუზეუმებში აქცია გაიმართა 19 მაისს, რომლის მიზანიც იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გაცნობა და ა. შ. მუზეუმის თანამშრომლებმა შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დირსეულად ემსახიბნათ

სტუმრებისათვის. გატარდა ზომები დამოუკიდებელი აქიური მოზიდვისათვის. თავდაპირველად მუზეუმებს სტუმრობდა პედაგოგ მამუკა კუჭავას ხელმძღვანელობით პირველი საჯარო სკოლის დაწესებულებები და საბაზო საფეხურის 30 მოსწავლე მშობლებთან ერთად. ორგანიზებული მოსვლით გამოირჩეოდნენ პირველი, მეორე და მესამე საჯარო სკოლებიდან პედაგოგების ხალხმრევლად მშობლების, ირინა განგიასა და ნაირა პირტახიას სადამრიგებლო კლასები.

მუზეუმში მოსულთ საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ შენობის პირველი სართულის ვესტიბულში განთავსებული სამხატვრო სკოლის წარჩინებული მოსწავლეების ნახატები.

აქციის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა რესპუბლიკის საიუბილეო თემატიკა - საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლის იუბილე. აღნიშნულიდან გამომდინარე კოული შარტავას მუზეუმის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო თემატიკური გამოფენა, პირველი რესპუბლიკის პიში, გერბი და დროშა, აგრეთვე 1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. დამოუკიდებლობისათვის მოეწყო ვიდეოფილმის „დამოუკიდებლობის 1005 დღე“ ჩვენება.

აქციის დამეს მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 150 კაცი, რომელთაც თავისი პროდუქციით(ნაყინი) გაუმასხინებდა შ.პ.ს. „თეთრი დათვი“.

19 მაისს დღის დასასრულს მუზეუმებს ეწვივნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე - გრიგოლ ბადათურია და ა.ა.ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი. მათ მუზეუმის თანამშრომლებს მიულოცეს პროფესიული დღესასწაული და დასახეს მომავლის პერსპექტივები.

შემდეგ დღის შემაჯამებელი ღონისძიება გაგრძელდა ნოქალაქეების არქეოლოგიური კომპლექსის ტერიტორიაზე ღია სივრცეში.

ჩატარებულ ღონისძიებებში მუზეუმის თანამშრომლები დახმარებისა და მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის ქალაქის საჯარო სკოლის დირექტორებს, ფოტო-სალონ „კოდაკი“-ს ხელმძღვანელს - ღამა გვასალიას, ბატონებს რეზო გარუჩავასა და ზურაბ გვახავას.

კვირულის ფარგლებში ჩატარებულმა ღონისძიებებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მუზეუმები ის მტკიცე ბოძია, რომელზედაც დგას ჩვენი ქვეყნის სულიერება. ვფიქრობთ, ეს აქცია მომავალში კიდევ მეტ დეტვირებას შეიძენს და საზოგადოების ჩართულობაც გაიზრდება.

მაია გერბაია,
მარიკა შამათაია

ღია გაკვეთილი მეცნიერებაში

სამუზეუმო სივრცეში განთავსებული ფასეულობები მნიშვნელოვანი რესურსია პედაგოგებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, მუზეუმები თავიანთი საგანათლებლო პროგრამებით ქმნიან შესაძლებლობას კოლექცია იყოს ცოდნის განმტკიცების წყარო.

წლებია გრძელდება სენაკის №7 საჯარო სკოლის(დირექტორი ბიძინა ტაბაღუა) და ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შორის საქმიანი თანამშრომლობა.

მუზეუმში ხშირად ვატარებ ვასვლით ღია გაკვეთილებს, სადაც ხდება პროგრამულ საგაკვეთილო თემატიკასთან კოლექციების შეჯერება, ასეთი ურთიერთობა ცოდნის განმტკიცებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეების საზოგადოებასთან ინტეგრირების, აზროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის უნარების ჩამოყალიბებას.

მწლის 17 მაისს, სენაკის №7 საჯარო სკოლის მე-10 კლასთან, ისტორიაში ჩატარებულ ღია გაკვეთილი მიქმდნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავს, თან ეს გაკვეთილი მოქცა მუზეუმების საერთაშორისო დღის (18 მაისი) აღნიშვნასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კვირულის ფარგლებში.

გაკვეთილის თემა იყო „დამოუკიდებლობის სამი წელიწადი“ საგაკვეთილო პროცესი ჯგუფური მუშაობის სტილში მიმდინარეობდა. მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად და შესაბამისი განწყობის შესაქმნელად ნაწყენები იქნა ვიდუო ფილმი „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე - 1918წ. 26 მაისი“.

- მოსწავლეთა საპრეზენტაციო თემები იყო:
1. გრძელი გზა დამოუკიდებლობისაკენ.
 2. თერგდალეულების როლი დამოუკიდებლობისადმი ბრძოლაში.
 3. პოლიტიკური პარტიები და მათი ძირითადი იდეები.
 4. რუსეთში მიმდინარე მოვლენები და ამიერკავკასია.
 5. დამოუკიდებლობის მიღება და მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები.
 6. საქართველოს პირველი რესპუბლიკის სიმბოლიკების და ფულადი ერთეულების აღწერა.
 7. პირველი რესპუბლიკის სამხედრო ტექნიკა: ავიაცია, ჯავშანტექნიკა, ფლოტი.
- გიორგი მაზნიაშვილისა და გიორგი კვინიტაძის თავგანწირული ბრძოლები საქართვე-

ლოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის.

პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს ჰქონდათ მსჯელობა სადისკუსიო საკითხებთან დაკავშირებით. ისინი გაეცნენ დოკუმენტურ წერილობით მასალებს(რამდენიმე ქართველი ბოლშევიკის ავტობიოგრაფია) მუზეუმის ფონდიდან, გამოყვეს მათთვის ნაცნობი მოვლენები, რომლებიც დააკავშირეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის წლებში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებთან.

საგამოფენო პროექტში ჩართული იყო ვიდუო მასალა, აუდიო ჩანაწერი, ფოტო მასალა.

დასკვნით ეტაპზე მოსწავლეების მიერ წაკითხულმა პატრიოტულმა ლექსებმა საზეიმო განწყობილება შემოიტანა დარბაზში.

ესწრებოდნენ განათლებისა და კულტურის დარგის წარმომადგენლები, მოსწავლეთა მშობლები, მე-10 კლასის მოსწავლეები სენაკის №1 და №2 საჯარო სკოლებიდან.

დაუვიწყარი იქნება ჩემი სკოლის მოსწავლეებისათვის ის შეფასებები, რომლებიც მათ მოისმინეს დამსწრე საზოგადოებისაგან, განსაკუთრებით იქ მყოფი თანატოლებისაგან.



შენა ბარამია,
სენაკის №7 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

პრეზენტაციის „საზოგადოებრივი პრეზენტაციის“ ფარგლებში


საქართველოს მთავარი პროკურატურის პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურის“, ფარგლებში, სენაკის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით 30 და 31 მაისს კოული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს სტუმრობდნენ შეათეკლასელი მოსწავლეები აბაშის №1 და სენაკის №3 საჯარო სკოლებიდან კლასის ხელმძღვანელებთან ერთად(ინეზა ბოკუჩავა და ლიანა მხეიძე - აბაშა, მარინე კაჭარავა - სენაკი).

მოსწავლეები გაეცნენ საქართველოს ეროვნული გმირის - კოული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპული სენაკელების საგმირო საქმეებს, ასევე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში განთავსებულ ექსპონატებს, წარსულის ამსახველ არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ყოფით მასალებს.

მუზეუმებში მოსულთ საგამოფენო დარბაზებში მეგზურობას უწევდნენ ნანა ფირცხალავა და გრილდა ანთია.

მოსწავლეებთან ერთად იმყოფებოდნენ სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორები ბატონები ვახტანგ სართანია და გიორგი კოდუა, შ.ს.ს. სენაკის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანამშრომელი - გიორგი საჯია.

მეცნიერების სტუმრები



22 მაისს კოული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს სტუმრობდნენ ქალაქ თბილისიდან ახალგაზრდები, სენაკში კურსდამამთავრებელთა გამოცდებზე მოვლინებული გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები: მეფეერ-მარკეტოლოგი თამარ იანტებელიძე და ფსიქოლოგი - ქეთი ედილაშვილი. მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში მათ მეგზურობას უწევდა მეცნიერ - მუშაკი მაია ლაშქარავა.

ამონარიდი სტუმართა მიერ შთაბეჭდილებათა წიგნში გაკეთებული ჩანაწერიდან: „ძალიან დიდ პატივს ვცემთ სიძველესა და სამეგრელოს კულტურას. გმადლობთ ინფორმაციის ვრცელად მოწოდებისათვის. . . გულითადი და ღმილიანი დახვედრისათვის, თქვენთან გატარებული 30 წუთისათვის“

მარინე აბრამია

კლასიკა

ადღებში არ ჩაივლის, დეიდას საფლავი არ მოვი-

ნახული. ახლაც ადრინად ჩავედი სოფელში. გაზაფხულის სურნელი და ქინკლიანი დილა შემომეგება. ცივმა სიომ სახე დამისუსხა. ლაბადის საყელო ავიწიე და სასაფლაოსკენ მიმავალ გზას დავედექი. კანტიკუნტად შემხვედრი უცნობები თავაზიანად მიკრავენ თავს. ასე იციან სოფელში - საღამოს არ დაგვივირებენ. მართალია, ბოლო დროს აქაც ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უწინდელი სიბო მინც შეინარჩუნა...

ბურუსში გახვეული სასაფლაოს ჭიშკარი შევადე. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ეტყობა, ავადარს გაერიდნენ, თორემ აქ ყოველთვის უამრავი ხალხი მხედვობდა. საფლავის ქვაზე ნიავს სანთლები ჩაქრო. ანთება ვცადე, მაგრამ ამაოდ. ერთხანს უხმოდ ვიდექი. ფოთლებიდან წვიმის წვეთები წაპაუნით ეცემოდნენ ფილებზე.

ის იყო, გამობრუნებას ვაპირებდი, ქვითინის ხმა მომესმა. ირგვლივ არავინ ჩანდა. ტანში გამცრა. ორიოდ ნაბიჯი გადავდგი და ვეება ჭადრის ქვეშ ამოხურულ ფეხზე ჩამომჯდარი ჩია მამაკაცი შევინაშე. ხელეუბნე ადგილზე და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ფარულიანი ქუდიდან წვიმის წყალი კისერში ჩასდიოდა.

მიუახლოვდი, მხარზე ხელი შევახე. შეკრთა. უცებ სველი სახელოთი ცრემლი შეიმშრალა და ნაღვლიანი მხერვა მომაპყრო.

- რომელი ხარ, შვილო? ვერ გიცანი, - მითხრა მოხუცმა.

- სტუმარი ვარ, დეიდას საფლავი მოვინახულე. - თან ხელით ვანიშნე.

თავი ძლივს მოაბრუნა.

- კარგი ქალი იყო, მთელ სოფელს უყვარდა, - დაღარული შუბლი გაეხსნა. - დემრთმა ნათელში ამყოფოს, სანაქებო შეიღებო დახარდა.

მადლობა გადაგიუხადე. მოხუცი ცახცახებდა.

- დასველებულხარო... შინ ხომ არ წახვიდოდით?

- წამოსვლისას ქოლგა ვერ ვიპოვე, - თითქოს თავი იმართლა. - ჩემი ქალის უნახავად კი დღეს, აბა, რა გამაჩერებდა... საფლავთან მუხლი მომეკეთა და ამიტომ ჩამოვჯექი... ეჰ, უღმობელია სიბერე...

წამოდგომაში შევეშველე.

- შორს ცხოვრობო?- კითხე.

- არა, აქვე, ახლოს...

- სახლამდე მიგაცილებო, ლაბადა ორივეს გაგვწვდებო.

- არა, შვილო, უცხო კაცს როგორ შეგაწვებო.

- რას ამბობო, რა შეწუხებო.

ლაბადის კალთა გადავფარე, ხელკავი გავეუარე და სასაფლაოს ეზო დაეტოვებო.

- ამ დალოცვილმა წვიმამაც რომ არ გადაილო! - დავეწუწუნე, თემშარას რომ დავადექით.

- წვიმა ღვთის წყალობაა, შვილო, წყალობა, - დამარცვლით წარმოთქვა ეს სიტყვა. - მაცოცხლებელი და მკურნალი. დილით საქონელი ბალახს პირს არ დააკარებს, სანამ წყლის დაღვით გულს არ იჯერებს. ადამიანებიც ასე უნდა ვიქცეოდეთ, მაგრამ დღეს ამას ვინ აქცევს ყურადღებას...

ბერიკაცი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, სუნთქვა და სიარული უჭირდა.

- ძიაკაცო, ასეთ ამინდში ეულად რამ წამოგიყვანათ?! - მინც ვერ მოვიტინე.

- მარტო ვარ და... - სიტყვა გაუწყდა.

- არავინ გყავო?

- როგორ არა... ორი შვილი და სამი შვილიშვილი... ქალაქში ცხოვრობენ... საადღომოდ ჩამოსვლა ვერ მოახერხეს.

საუბარში გზა მალე გაიღია. რკინის ჭიშკარს მივადექით. კოწიამ (ასე ერქვა ჩემს ახალ ნაცნობს) შინ შემიპატიუა. უარი ვერ ვუთხარი. აცახცახებულს ფერი არ ედო. ვგრძობდი, რომ მარტოს ეზოს გავლა გაუჭირდებოდა. ოდა-სახლი დაბალზე ედგა. სამიოდე საფეხური ავიარეთ და აივნიდან საძილე ოთახში შევედით. მძაფრი სუნი მეცა, მიყრილ-მოყრილი ნივთები მოხვდა თვალს. კუთხეში თუნუქის ღუმელი იდგა. მოხუცი სკამზე ჩამოჯდა. ცეცხლი დავანთე.

- ტანსაცმელი გამოცვალეთ, გაცივდებით, - გუთხარი მასპინძელს.

- არა მიშავს, შვილო, ღუმელთან მალე გავშრები.

კოწიას ასე დატოვება არ შეიძლებოდა. კითხვის ნიშანივით მოკაკული სკამზე თავს ძლივს იმაგრებდა.

- მეზობელს დავეუბახებო...

ჯერ იუარა. მერე, ალბათ, იგრძნო, რომ ცუდად იყო და ბოლო არ დამზარდებო, მითხრა.

ღობის მეორე მხრიდან შუახანს გადაცილებული კაცი გამომეხმაურა. უცხოის დანახვაზე უმალ გადმოაღაჯა ალაგეს. მდგომარეობა აუხსენი. იქნებ, დაგბნოთ და ტანსაცმელი გამოუცვალათ-მეთქი. ბოლომ თავი გადააქნია, ახლავე მოვალო, მითხრა და შინისკენ შებრუნდა.

ოთახში შევედი. ბოლოც მალე გამონდა, ხელში შეშის რამდენიმე ნაჭერი ეჭირა. ცხელი წყლით სავსე ვედროთი ქალი შემოაყვა. მოგვესალმა თუ არა, აქოთქოთდა:

- კოწია, შენი ცოდვა პქონდეთ შენს შვილებს, წელიწადია, ფეხი არ ჩამოუღვამო, ნეტავ, რას ფიქრობენ?!

საადღომოდ მინც ჩამოსულიყვნენ...

- განუძი, ქალო, - შეუტია ბოლომ ცოლს.

- არ გაფრუდებო... ამ უცხო კაცმაც გაიგოს ყველაფერი... მაშინ ხომ კარგი კოწიე იყავი, სურსათ-სანოვან-გეს კალათებით რომ ეზიდებოდი...

- ხომ იცი, მუშაობენ, ვერ იცლიან, - ძლივს ამოღერდა მოხუცმა, რომელსაც ბოლომ ხელ-პირი დააბანინა, ტანსაცმელი გამოაცვლევინა და ცხელ წყალში ჩააყრევინა ფეხები.

- ჰო, მთელი ცხოვრება ხელს აფარებო... შვილიშვილს მინც რამ შეუშალა ხელი?!

- ქალო, სხვაზე რომ ლაპარაკობ, შენს ბედოვლათ ვაქს შეგხმინან? - ვერ მოითმინა ბოლომ.

- ზვის ფული არ მაქვს და როგორ ჩამოვიდეთ, ბატონო!

- აბა, რას მიკეთებს - აქ სოფელს აკლია და იქ ქალაქს ამძიმებს...

ღუმელში შეშა ატკაცუნდა, ოთახში დათბა. კოწია საწოლში ჩავაწვინეთ. მაჯა გავესინჯე.

- ექიმი უნდა გამოვიძახოთ, - გუთხარი ბოლოს.

- ვითომ?

თავი დაუქნიე. მოხუცი ხმას არ იღებდა, წელიანი თვალებით მოგეჩერებოდა. მობილურზე ნომერი აკრიფე. მისამართი ბოლომ მიკარნახა.

სასწრაფოც მალე გამოჩნდა. გარეთ ისევ გადაულებლად წვიმა. მეზობელმა ლაბადა მოიხურა და კიშკრის გასაღებად წავიდა. მანქანა პარმალს მოადგა. კაბინიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა, უკან მედლა მოჰყვა.

ექიმმა მოხუცი გასინჯა, მერე კარდიოგრაფა გადაუღო. ექთანს უთხრა, რა წამლებიც მიეცა.

მიტკალივით გაფითრებული კოწია უკვე თვალეზმიბნედილი იწვა, ნემსის ჩხვლეტა არც უგრძენია.

აივანზე გავედით.

- საავადმყოფოში ხომ არ გადავიყვანოთ? - კითხე ექიმს.

- აზრი არ აქვს, შესაძლოა, დილაამდე ვერც გაატანოს.

- მაშინ შვილებს დავეურეკავო...

ბოლოს სიტყვა არ პქონდა დამთავრებული, მედლამ რომ შეჰკვივლა.

- ექიმო...

ოთახში შევეცივდით.

კოწია აღარ სუნთქავდა.

კაპა ღანწლია



ფიქრები სამყაროზე

ადამიანებს სამყარო ეჩვენებათ სასტიკად, მაგრამ ეს ასე არ არის. გული ერთი უბრალო კუნთია, რომელსაც მთელი სხეულის კონტროლი შეუძლია, ის თითქოს თევზს ჰგავს, ისიც იმსხვერუვა ყურადღებობის გამო, მაგრამ თევზში აღარ აღდგება, შეიძლება დროებით შეაწებო, მაგრამ მინც არ გაძლებს დიდხანს, აი გული კი ისევე აღდგება, თითქოს დრო ოპერაციას უკეთებს, შეეღის, ტკივილიც არ აქვს, მაგრამ ამოკეტილი ადგილი მინც იარად რჩება, ამბობენ გულს გაუფრთხილდი, თითქოს ეს იყოს შენი საყრდენი, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ პატარა კუნთში მხოლოდ უფლისა და ეშმაკის ანგელოზები არიან, ხან სიკეთით გმართავენ, ხანაც ბოროტებით, ჩვენი ვალია განვადგინოთ ბოროტი, მისი დამარცხება შეერკინებას ჰგავს, რომელსაც უამრავი ტური გააჩნია. საბოლოოდ კი იმარჯვებს ერთი, გამარჯვებული გამოვლინდება, ჩვენი დაბადებიდან სიკვდილამდე, სიკვდილის შემდეგ კი ივებ შედგეს, დამარცხებ თუ არა, ეს ბრძოლა კი პირველ რიგში საკუთარ თავთან ბრძოლაა, მაგრამ უბრალო მოკვდავებს გვიჭირს ეშმაკის დამარცხება, მაგრამ ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ ის უძლეველია. უბრალოდ ის გეხმარება მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სამომავლოდ შენ ვაგნებს, ამას კი მხოლოდ მაშინ ხვდები, როცა შედეგს იძიო. ხან გაიმარჯვებ, ხან დამარცხდები, მთავარია საბოლოოდ, რას შეძლებ. ცხოვრება ბევრი საფეხურისგანაა აგებული, თითქოს ეს საფეხურები მოსამზადებელი წერტილებია, ფინალი კი ზეცაშია დაგვემიღო. ბრძოლა არ შეიძლება იყოს დამპყრობლური ეს არის ბრძოლა სულის გადასარჩენად.

ადამიანი კი სულის გარეშე არაფერია, როგორც დაბადებისას ჩაგვებრა სული უფალმა, ანუ გავსა ასევე წავგართმევს ამ სულს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, დავიმსახურებთ ამას თუ არა.

ხშირად ამინდი არ ემთხვევა შენს ხასიათს, მიუხედავად მზიანი დღისა შესაძლოა შენს გულში სიბნელე იყოს. ხშირად მქონია სურვილი იმისი, რომ ჩემი ხასიათი შეცვლილიყო ისევე, როგორც ბუნების, ბუნება თავის ხასიათს კი ამინდით გვამცნობს. ალბათ ჩაგვიცინა და იფიქრე მაშ სინოპტიკოსები ამინდს როგორ ადგენენ? აბა დაფიქრდი შენ ხომ შეგიძლია დაგეგმო შენი მომავალი, მაგრამ იცი, რომ შეიძლება შენი გეგმა ასრულდეს, შეიძლება არა, ასევე არიან ისინიც, ჩემგან მეცნიერება შორსაა, როგორც ამბობენ მე ვვარსებო ჩემივე გამოვლილ ატმოსფეროში, სადაც ყველაფერი განსახვავებულია, ჩემთან ბუნებას სხვა ხალისი აქვს. აქ ბუნების თითქოს უსულო არსებები სუფიერები ხდებიან, თითქოს ისინი მსახიობები არიან, რომლებმაც უნდა მოირგონ ის როლები, რომელსაც რეჟისორი მისცემს, რეჟისორი უფალია. მაყურებელი კი ამჩნევს ამ მსახიობების როლს, რახან ასეთი როლი აქვთ სინამდვილეშიც ასეთი პოინიათ, არადა ეს ასე არ არის.

ადამიანი ხომ ერთხელ ცოცხლობს ამ მიწაზე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე ზოგისთვის ხანმოკლეა, ზოგისთვის კი ხანგრძლივი, ყველასთვის რთულია. რთული არ არის ის, რომ იყო ცოცხალი, რთულია ცოცხალმა გადავლახო დაბრკოლებები. გასაჭირი, პრობლემა და სადარდელი ყველას აქვს, მაგრამ ცოტა თუ ხვდება ამის

აზრს, ვფიქრობ თითოეული ეს, ცდილობს მოგვაბრუნოს უფლისკენ და განგვიახლოს რწმენა. თითქოს ყველა ადამიანი ემსგავსება გათიშულ არსებას, რომლის გამოვლინებასაც უფალი ყოველივე ამით ცდილობს. ადამიანი თავიდანვე არ ჰგავს გათიშულს, ის იმდროიდან ემსგავსება მას, როცა უფლის გზას ივიწყებს და წამიერად ხარბდება, ამქვეყნიური ძვირფასეულობით, თანდათანობით კი წამები წუთებად იქცევა, წუთები კი საათებად, საათები დღეებად, დღეები წლებად...

ცხოვრება ისეთი მეჩვენება, რომ მინდა თითოეულ მოვლენას თითო-თითო მელოდია შევუსაბამო, მელოდია და არა სიმღერა, წვიმიანი დღეც კი უკვე მოსაწყენი ხდება, მაგრამ არა უინტერესო, სიცივე, წვიმის შხაპები და ღრუბელი ადამიანებშიც ჩანს, უხასიათო ადამიანი არის ცივი, დაღარდიანებული, სევდიანი და იმედგაცრუებული, ეს კი შეიძლება უბრალო წვიმამ გამოიწვიოს. ხასიათის გამოსწორებას არაფერი უშლის ხელს, მაგრამ ჯობს შეიგრძნო ის ემოცია, რასაც გრძნობ, როცა გული გწყდება რაიმეზე, თითოეულ მელოდიაში ხედავ, თუ როგორ ცვივა ვარდს ახლადმოხული ფურცლები როგორც ვარდის ფურცელი ეხება ძირს, ისევე შენც მოგცილდება ღარიდ გულიდან, მაგრამ რჩება ფიქრები სამყაროს უსასრულობაზე...

606(ო) ბაპეღია, კირძო სპ(ო)ლა „მანას“ VIII კლასის მოსწავლე

კლასიკა-95

„კოლხეთი“ როგორც ადამიანი, ცოცხალი ორგანიზმი ისე იზრდებოდა, იწრებოდა, ბეწვის ხილზე გადიოდა, — დინჯდებოდა.

95 წელი შეასრულა. ეს ის გაზეთია, რომელიც გვესიყვარულება, წარსულს გვახსენებს, აწმყოს გვიდასტურებს, მომავლის კეთილ და ნათელ იმედებს გვისახავს.

დიდი ინტერესით გვეცინა საიუბილეო ნომრებს. ძალიან მომეწონა მრავალფეროვანი და შინაარსობრივად დატვირთული მასალები. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ნანა ფაჩულის არქივი და ცუდი მასალები. ნანა ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდა, გამორჩეულად ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით.

მინდა მას, ასევე რედაქციის ყოფილ და ამჟამინდელ მუშაკებს მივულოცო გაზეთის 95 წლის იუბილე, როგორც გაზეთის მკითხველი და ამ ქალაქის მკვიდრი ბედნიერი ვარ, რომ სენაკში არსებობს 95 წლიანი ისტორიის მქონე გაზეთი, რომელიც ამაყობს განვლილი წლებით და უკან მოხედვის არ ეშინია.

მრავალკამიერ ჩვენს მშობლიურ გაზეთს!

მაცოდნის მართი

ჩემი შვილიშვილის ანდრია გვასაღიას ჯანმრთელობის პრობლემების გამო წელს უკვე მეორედ მომიწია შ.პ.ს. „ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკის (დირექტორი იამზე დგებუაძე) მედპერსონალთან ურთიერთობამ. დიდ კმაყოფილებას გამოვქვიამ ექიმების: ნ. გრიგოლიას, ე. გიგობერიას, ე. კოკიას შ. შურდუღიას მაღალი პროფესიონალიზმის გამო. რენდგენოლოგ ი. ფოფხაძის და მედლა ზ. ფაჩულის მიერ გადაღებული სურათით გაირკვა ანდრიას დიაგნოზი და შესაბამისად წარმართა მკურნალობა.

მინდა მადლობა გადავუხადო ლაბორატორიის ხელმძღვანელს მ. სიჭინავას, უფროს მედლას ი.ეუფარაძეს. მედლებს: ნ. კემულარიას, მ ჭავას, ს. ლომიას, მედლის თანაშემწეს ნ. ბარქაიას გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

მე თავად მედიცინის დარგში რამდენიმე ათეული წელი ვიმუშავე და ნამდვილად მეამაყება რომ ჩემს ქალაქში არსებობს ისეთი კლინიკა როგორც შ.პ.ს. „ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკა“.

მინდა წარმატებები და პროფესიული წინსვლა ვუსურვო მათ.

ლია ალაშია

შტრისები თქლათის დეტათ მონასტრის ისტორიიდან




საპარაშლოლ საპანის დამფუძნებელი მონაზონი სალომე (თამაზბერიძე)



სამხილუმენია ათანასია (სალაქია)



იმერეთის პისკოპოსი წმ. ბაბრიელი (ძიმოძე)



საქართველოს ყოველი კუთხე მდიდრია ეკლესია-მონასტრებით. სამეგრელოში პირველმა დედათა სავანემ, თეკლათის ღვთისმშობლის შობის მონასტრმა დიდი როლი შეასრულა, როგორც XIX საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში, ასევე XX საუკუნეში ეკლესიის დევნის პირობებში სამონაზვნო ტრადიციებისა და სამრევლო ცხოვრების გადარჩენის საქმეში.

მონასტრის დაარსება უკავშირდება სქედუმენია სალომე თავდგირიძისა და ილუმენია ათანასია სალაქიას სახელებს.

მონაზონი სალომე (თავდგირიძე) გურიიდან, თავადის ოჯახიდან იყო. იგი დაქორწინებულია სენაკის მაზრის მკვიდრ აზნაურზე. ქორწინებიდან 10 წლის შემდეგ დაქვრივებულ სალომეს მონასტერში წასვლა გადაუწყვეტია.

სალომე სხვა თანამოაზრეებთან ერთად თავდაპირველად მენჯის მთავარანგელოზთა მთაზე დამკვიდრდა. დედა სალომეს მიერ მთავარანგელოზთა კუნძულზე დაარსებულ სავანეში მისულა ათანასია (ერობაში აღათი) სალაქია. სწორედ მორჩილ აღათის სახელს უკავშირდება ამჟამინდელი თეკლათის მონასტრის ადგილს აღმოჩენა. ათანასია სალაქია ხდება შემდგომში სავანის მეორე წინამძღვარი.

მონასტრის სულიერ ცხოვრებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ალექსი ბერმა (შუშანიამ) რომელიც სულიერად ასახრდობდა და მფარველობდა თეკლათელ მონაზვნებს.

1873 წელს მონაზონმა სალომემ იმერეთის ეპისკოპოსს წმ. გბრიელს (ქიქოძე) მიმართა სავანის გადატანასთან დაკავშირებით ლოცვა-კურთხევის მისაღებად.

სახარბედიოს მთაზე არსებული მიწები ეკუთვნოდათ სახარბედიოს გლეხებს. მათ დათმეს ეს ტერიტორია მონასტრის ასაშენებლად.

დედათა კრებული ახალ ადგილზე გადავიდა. მათ უჭირდათ, მიძიმე ღვაწლი იყო საჭირო სავანის მოსაწყობად. ერთგული თანამოღვაწეების დაუზოგავი შრომით, შემოწირულობებით დაიწყო ახალი სენაკების აშენება და მონასტრის შენობის აგება. იმატა დედათა რიცხვმა, დაიწყო სავანეში ღვთისმსახურების აღსრულება. დედათა მონასტრის სულიერ და საგანმანათლებლო ცხოვრების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს სასულიერო პირებმა ტარასი ელიაშვილმა, გაბრიელ ქიქოძემ, გრიგოლ დადიანმა, ალექსანდრე ოქროპირიძემ, დიმიტრი აბაშიძემ, გიორგი ალადაშვილმა, ამბროსი ხელაიამ, ყვარამ სიდამონიძემ, შიო ძიძაყამ, კონსტანტინე ქვარაიამ და სხვებმა.

მონასტრის წინამძღვრები სხვადასხვა დროს იყვნენ მონაზონი სალომე თავდგირიძე, ილუმენიები ათანასია სალაქია, ეკატერინე აფაქიძე, ნინო ვანხაძე, ელენორა დადიანი, სქემონაზონი თუბრონე ჯინორიძე, მარიამ ჭიჭინაძე, ილუმენიები ქეთევან და ელენე ახვლედიანები, ანა მუსელიანი. აქ იღვწოდნენ ილუმენია ფავსტო და სქემონაზონი აკეფსიმა შუშანიები

მონასტერში მოღვაწე დედეებს, უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირების, მრევლის საერთო ძალისხმევით თეკლათის დედათა მონასტერი გაფართოვდა.

სამწუხაროდ, აზბელით წლებში თეკლათის დედათა სავანეზე ხშირად ხდებოდა თავდასხმა, ძარცვა, ადგილი ჰქონდა დედეების დაშინებას. ორჯერ განხილმა ხანძარმა იმსხვერპლა მონასტრის ქონება, საცხოვრებელი სენაკები, მაგრამ სავანე კეთილ ადამიანთა შეწყვენით განახლდა.

აქ ფუნქციონირებდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასულიერო სკოლა, სადაც გოგონებს ქრისტეს მოძღვრებისადმი ერთგულებას, წიგნიერების სიყვარულს და ხელსაქმეს ასწავლიდნენ. ყოფილა სტამბაც. მონასტერი თავის ხარჯებით ბეჭდავდა სასულიერო ლიტერატურას და ხალხს ურიგებდა. დღია დედეების დამსახურება ძველი ქართული სამკალოების ტრადიციების გადარჩენის საქმეში. ქართველ მუსიკოსს და საზოგადო მოღვაწეს, წმინდა ფილიპონ ქორიძის ნაწარმა და დედეების მიერ შესრულებული საგალობლები, რომელსაც უთქვამს, „ასე ოსტატურად, ორიგინალურად შექმნილი აკორდები, მშვიდი და დამაჯერებელი რითმის პანგები არასოდეს არ გაიმეორიანო“.

მონასტერში დაცულ სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია წმინდა იოანე ნათლისმცემლის თითის ნაწილი, რომელიც ვერცხლის ღუსკუმაშია ჩასვენებული. მონაზვნებმა გადაარჩინეს ყოველწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც იმპერატორმ ალექსანდრე III-მ უსასოვრა მონასტერს საქართველოში მოგზაურობის დროს. აქ ინახება ათონის მთაზე მოღვაწე წმინდა ღვთისმეტყველის ქართული სავანის წინამძღვრის იონა ხოშტარაის დაკვეთით დაწერილი სასწაულმოქმედი ხატის „დაუჭკნობელი ყვავილის“ ასლი.

სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) თეკლათის დედათა მონასტრის დაარსებიდან 150 წლის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა საღვთისმშობლის ხატის აღმოჩენის ისტორიიდან, სადაც უნიკალური მასალებია მოცემული მონასტრის ცხოვრებაზე. წიგნი მოიცავს დიდი ალექსი სენაკელის (შუშანია) მოღვაწეობის პერიოდს (XIX საუკუნის 60-იანი და XX საუკუნის 30-იანი წლები).

ამჟამად საეკლესიო ღვთისმსახურება მიმდინარეობს ყოველ კვირა დღეს. შესანიშნავი ბუნება, იშვიათი გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალწლიანი ცაცხვის, ჭადრის ხეები, სხვადასხვა ჯიშის ნარგავები, დეკორატიული მცენარეები, ყვავილები, სუფთა პაერი საოცრად ამაღლებულ განწყობილებას ქმნის. ჭკერის მხატვრობით, ფრესკებით თეკლათის დედათა მონასტერი გამორჩეული არქიტექტურული ღირებულებების მქონეა.

საინფორმაციო საშუალების ვალია ახალგაზრდობას და მომავალ თაობას გააცნოს თეკლათის მონასტრის ერთ-ერთი მთავარი თვისება, რომელიც ის საქართველოს სხვა მონასტრებისგან გამოირჩევა.

ეს გახლავთ ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მონასტრის გაუქმებისა და ტაძრის დახურვის მიუხედავად, იგი გადაურჩა დაცარიელებას და განადგურებას. დევნის მიძიმე წლებში დედეები განაგრძობდნენ სავანეში ცხოვრებას და მონაზვნური ღვაწლის აღსრულებას, რითაც ქართული სამონასტრო ტრადიციების გადარჩენის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს. ამასთან ერთად მათ სავანის ძირითადი სიწმინდეების შენახვა და გადარჩენა მოახერხეს.

სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია.

2003 წლის 8 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის კრების განჩინებით ჩამოყალიბდა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია.

ეპარქიის საჭეთამყრობედად გამოირჩეულ იქნა არქიმანდრიტი შიო (მუჯირი).

სენაკის და ჩხოროწყუს ეპარქია განთავსდა თეკლათის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე. ეპარქიის შემადგენლობაში არის 39 ტაძარი, მათ შორის მოქმედია 25, აღდგენილია 6, მშენებარეა 8 ტაძარი

მიტროპოლიტი შიო (ერისკაცობაში ელისზბარ თეიმურაზის ძე) ღვთისმოსავი, უაღრესად განათლებული და მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნებაა. დაიბადა 1969 წელს თბილისში. დამთავრებული აქვს დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი, და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 1993 წელს შიომღვიმის მონასტერში ბერად აღიკვეცა შიოს სახელით, ბერდიაკენად იკურთხა 1996 წლის მარტში, 1996 წლის მაისში სიონის საკათედრო ტაძარში მღვდელ-მონაზვნად იკურთხა და შიო მღვიმის მონასტერში მღვდელთმთავრად დადგინდა. 1996 წლის ნოემბრიდან შიო (მუჯირი) სხვადასხვა ტაძრებში მსახურობდა წინამძღვრად და მღვდელთმთავრად, 1998 წლის აპრილს ალყვანილ იქნა ილუმენის ხარისხში. დამთავრებული აქვს მოსკოვის სასულიერო აკადემია, წმინდა ტიხონის მართლმადიდებლური კუმიანტარული უნივერსიტეტის სამოძღვრო საღვთისმეტყველო ფაკულტეტი. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე „ღირსი ალექსი სენაკელი (შუშანია), მისი ცხოვრების ისტორიული კონტექსტი და სულიერი სამოძღვრო მემკვიდრეობა“.

2009 წლის 20 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილის II –ის მიერ ალყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, 2010 წელს მიტროპოლიტის ხარისხში, ამავე წლის აგვისტოში დაინიშნა კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქორეპისკოპოსად, 2003 წლის აგვისტოში სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მღვდელთმთავრად, 2017 წლის 23 ნოემბერს დასახელებულ იქნა კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ.

ჩვენი მუნიციპალიტეტის და რეგიონის საგანმანათლებლო სფეროებში წამყვანი ადგილი უჭირავს წმინდა ალექსი ბერის (შუშანიას) სახელობის სკოლა-გიმნაზიას, რომლის თანამდგომი არის მიტროპოლიტი შიო. გიმნაზიაში ყველაფერი კეთდება მოსწავლეთა ცოდნისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის.

15 წელია ჩვენს ეპარქიაში მიტროპოლიტი შიო დაუღალავად იღვწის ქრისტიანული მრწამსის, რწმენის განმტკიცებისათვის, სულიერების ამაღლებისათვის, ეკლესიის მონასტრების განახლებისათვის.

საარქივო მასალების გამომყენებით
მოამზავს
მ. ბაღათურიამ,
მ. მიძაბერიძემ

